საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ენდრონიკა

ენდრონიკა

ენდრონიკა (Galium), მცენარეთა გვარი ენდროსებრთა ოჯახისა; ერთ ან მრავალწლოვანი ბალახები. აქვთ პატარა, ორსქესიანი ან პოლიგამური, ნახევარქოლგებად შეკრებილი მოყვითალო-მომწვანო, ყვითელი ან თეთრი ყვავილები, რ-ებიც ღეროს წვერზე ფარისებრ ან საგველასებრ ყვავილედებს ქმნის. უფრო იშვიათად, ნახევარქოლგები განლაგებულია ფოთლების იღლიებში თითქმის მთელ სიგრძეზე. ე-ს გვარი 400-მდე სახეობას აერთიანებს და გავრცელებულია მთელ დედამიწაზე. საქართველოში ამ გვარის 30-მდე სახეობაა, იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან სუბალპ. სარტყლამდე ტყეში, ტყის პირებზე, მდელოებზე, ტენიანსა და დაჭაობებულ ადგილებზე, მშრალ ფერდობებზე, ჩამონაზვავებსა და კლდოვან ადგილებზე. ე-ს ზოგიერთი სახეობის ყვავილებს (G. verum) ხმარობენ ყველის დასამზადებლად. ზოგის ღერო და ფოთლები შეიცავს მომწვანო-მოყვითალო და ყავისფერ საღებავს, ფესვები – წითელს.

ლ. ხინთიბიძე